ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1/310723/1

ქ.თბილისი **31 ივლისი, 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი #TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701
(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „ელ+“** (შემდგომში მიმწოდებელი) მისი დირექტორის ლაშა ჭუმბურიძეს სახით, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 126 ბერი გაბრიელ სალოსის ქ, ტელეფონის ნომერი: +99532357044; ს/კ:400010411, ს/ს საქართველოს ბანკი, კოდი # BAGAGE22, ა/ა # GE89BG0000000179249000
(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება
შემსყიდველმა გამოაცხადა **სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) (CPV45312100)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი (**NAT230014368)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის (თანმდევი მომსახურება/მონტაჟით) **22 822.00 (ოცდაორი ათას რვაას ოცდაორი ლარი და 00 თეთრი)** ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.
2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
2.2.1. სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი N1-ის, დანართი N1.1-ის და დანართი N1.2-ის შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.
2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1 შესყიდვის ობიექტია **სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესყიდვა,** რომლის დასახელებებიც, რაოდენობების, ერთეულის ფასების, ტექნიკური მახასიათებლების, წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი ფირმისა და მოდელის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართი N1-ის დანართი N1.1-ის და დანართი N1.2-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები
4.1. სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღეში, დანართი N1-ში, დანართი N1.1-ში და დანართი N1.2-ში მოცემული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
4.2. სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის ადგილია: სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრი - ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქუჩა № 1 და სსიპ შემოსავლების სამსახურის ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა - ლაგოდეხი, ქიზიყის ქუჩა № 25.
4.3. დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა და მისი მაკომპლექტებელი ნაწილები უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის შესაბამისად.
5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის

საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის მიღებას, ხოლო თუ, სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.
5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის შეცვლა სათანადო ხარისხის სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.5 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის ღირებულების შესაბამისად, ყოველი კონკრეტული სისტემის მოწყობის შემდეგ.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.6. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესს გაუწიოს მონიტორინგი (ზედამხედველობა), რომლის განმავლობაშიც არანაკლებ სამ თვეში ერთხელ უნდა მოახდინოს სრული შემოწმება და სწორი ექსპლუატაციის პირობებში აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი;
7.1.7. სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;
7.1.8, სამუშაოებისას გამოყენებული ნებისმიერი მასალა ან/და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევებში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოდგენა;
7.1.9. მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სამუშაო ფართის დასუფთავება, მონტაჟით გამოწვეული ნარჩენების მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.3.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
7.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
7.4.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

7.4.2.. განაცხადოს უარი უხარისხო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიღებაზე.

8. გარანტია

8.1. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების დანართი№1-ში, დანართი N1.1-ში და დანართ N1.2-ში მითითებულ მაჩვენებლებს.

8.1.1. მიწოდებულ სახანძრო სიგნალიზაციის სისტემაზე საგარანტიო პირობა ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან დანართი N1.1-ში და დანართი N1.2-ში მითითებული ვადების და პირობების შესაბამისად.

8.1.2 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს იგი ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების

პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 8.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ჯერზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით;

13.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული სისტემის გამართვის დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული სისტემა და მაკომპლექტებელი ნაწილები არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1.1-ით და დანართი N1.2-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული პირობისა.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **შპს „ელ +“**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.07.31 18:21:08 +04'00'	LLC EL + Digitally signed by LLC EL + Date: 2023.07.31 15:19:54 +04'00'
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**ლაშა ჭუმბურიძე** დირექტორი

დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები	14 102,00	მიწოდება-მონტაჟის ადგილია: სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრი. ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქუჩა № 1	საქონლის მიწოდება - მონტაჟით განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში
2	სსიპ შემოსავლების სამსახურის ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები	8 720,00	მიწოდება-მონტაჟის ადგილია: სსიპ შემოსავლების სამსახურის ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა. ლაგოდეხი, ქიზიყის ქუჩა№25	საქონლის მიწოდება - მონტაჟით განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში

ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის/ მწარმოებელი კომპანიის/მოდელის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ ექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას	განზომილება	რაოდენობა	ჯამური ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	საგარანტიო პირობა
1	სამისამართო სახანძრო მართვის პულტი / პანელი	1 მარუჟით, პანელს გააჩნია 4 ინჩიანი ეკრანი. მარყუჟზე 64 მისამართის დაერთების საშუალებით და 100 ზონის შექმნის საშუალება. შეუძლია დეტექტორების რეგულირება მართვის პანელიდან 4 რეჟიმზე დღე-ღამის მიხედვით. გააჩნია შემდეგი ნორმების შესაბამისობა: EN54-2, EN54-4, პანელის ვიზუალურ-ტექსტური და მართვის ნაწილი (MENU) არის ქართულენოვანი.	C50SG; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	1	4 000,00	4 000,00	შემოთავაზებულ სისტემაზე ვრცელდება გარანტია 1 (ერთი) წლის ვადით, მოღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან. რომლის განმავლობაშიც ვიუზრუნველყოფთ ნაკლოვანი საჭიროების შემთხვევაში ან/და შეცვლას ახლით.
2	სამისამართო კვამლის დეტექტორი სამაგრი ძირით	ავტომატური დამისამართებით; სამუშაო ძაბვა 19...30 Vdc; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია 200 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება 10mA; კვამლის აღმოჩენის 4 მგრძნობელობა. ინტეგრირებული იზოლატორი. ჩატარებული აქვს LPCB ტესტი ნორმების შესაბამისობაზე - EN-54-7; EN-54-17, ტემპერატურული რეჟიმი -5ºC...+40º. სამაგრი ძირი არის უწყვეტობის გადასართველი ფირფიტით, უჟანგავი	ED100 და EB0010; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	10	180,00	1 800,00	
3	სამისამართო ხელის ღილაკი	სამისამართო. მრავალჯერადი გამოყენების, პლასტმასის გადატვირთვის გასაღებით; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია 80 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება 5mA; ჩატარებული აქვს LPCB ტესტი ნორმების შესაბამისობაზე EN 54-11, EN 54-17.	EC0020; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	4	170,00	680,00	
4	სამისამართო მანათობელი სირენა	თვითდამისამართებით კვებას იღებს მარყუჟიდან, ინტეგრირებული მოკლე ჩართვის იზოლატორით, ხმის არჩევადი ტონალობა 14, ხმოვანი ტექსტური შეტყობინების ჩაწერით ქართულ და ინგლისური ენაზე საჭიროების შემთხვევაში 16 ვერსიამდე, 101-დბ 1 მეტრზე, გააჩნია EN 54-17, EN 54-3	ES2050RE; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	2	380,00	760,00	
5	სამისამართო მოდული	სამისამართო შემსვლელ გამომსვლელი მოდული, სამუშაო ძაბვა 19...30 Vdc; ავტომატური დამისამართების შესაძლებელობით, მოხმარებული ენერგია ლოდინის რეჟიმში 80 uA, ჩაშენებული სარელეო გამოსასვლელი 1A, 1 შემსვლელი და გამომსვლელი კონტაქტი, EN 54-17:2005, EN 54-18:2005,	EM312SR; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	2	230,00	460,00	
6	აკუმულატორი	12ვ 7ამპ დახურული ტიპის	ჩინეთი/Select/S12 7S	ცალი	2	100,00	200,00	
7	საევაკუაციო გასასვლელის მაჩვენებელი დაფა "Exit" წარწერით	საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებელი ნიშანი (EXIT), ალუმინის ჩარჩო, პლასტიკური ან შუშის ზედაპირით; ელ. ენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაობის დრო 90 წუთი; სამუშაო ძაბვის დიაპაზონი 180V-245VAC; დაცვის კლასი IP20; ნათურის სიმძლავრე: 2W სამუშაო ტემპერატურული დიაპაზონი -20ºC -დან +60ºC.-მდე;		ცალი	4	100,00	400,00	
8	სახანძრო არა აალებადი კაბელი	JY (ST) Y 1*2*0,8 სახანძრო კაბელი		მეტრი	200	1,00	200,00	
9	დენის კაბელი	დენის კაბელი 2x1,5 კვეთი, შესაბამისი ზომების სამაგრი საშუალებებით		მეტრი	100	1,40	140,00	
10	საკაბელო არხი	20*10 შესაბამისი ზომების სამაგრი საშუალებებით		მეტრი	100	0,80	80,00	
	ჯამური ღირებულება						8 720,00	

ზუგდიდის სერვის ცენტრი

№	შესყიდვის ობიექტრის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის/ მწარმოებელი კომპანიის/მოდელის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ ექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას	განზომილება	რაოდენობა	ჯამური ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	საგარანტიო პირობა
1	სამისამართო სახანძრო მართვის პულტი / პანელი	1 მარუჯით, პანელს გააჩნია 4 ინჩიანი ეკრანი. მარყუჟზე 240 მისამართის დაერთების საშუალებით და 240 ზონის შექმნის საშუალება. შეუძლია დეტექტორების რეგულირება მართვის პანელიდან 4 რეჟიმზე დღე-ღამის მიხედვით. გააჩნია შემდეგი ნორმების შესაბამისობა: EN54-2, EN54-4, პანელის ვიზუალურ-ტექსტური და მართვის ნაწილი (MENU) არის ქართულენოვანი.	C100SG; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	1	4 412,00	4 412,00	შემოთავაზებულ სისტემაზე ვრცელდება გარანტია 1 (ერთი) წლის ვადით, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან. რომლის განმავლობაშიც ვუზრუნველვყოფთ ნაკლოვანი საქონლის შეკეთებას ან/და შეცვლას ახლით.
2	სამისამართო კვამლის დეტექტორი სამაგრი ძირით	ავტომატური დამისამართებით; სამუშაო ძაბვა 19...30 Vdc; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია 200 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება 10mA; კვამლის აღმოჩენის 4 მგრძნობელობა. ინტეგრირებული იზოლატორი. ჩატარებული აქვს LPCB ტესტი ნორმების შესაბამისობაზე - EN-54-7; EN-54-17, ტემპერატურული რეჟიმი -5ºC...+40º. სამაგრი ძირი არის უწყვეტობის გადასართველი ფირფიტით, უჟანგავი	ED100 და EB0010; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	30	180,00	5 400,00	
3	სამისამართო ხელის ღილაკი	სამისამართო. მრავალჯერადი გამოყენების, პლასტმასის გადატვირთვის გასაღებით; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია 80 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება 5mA; ჩატარებული აქვს LPCB ტესტი ნორმების შესაბამისობაზე EN 54-11, EN 54-17.	EC0020; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	3	170,00	510,00	
4	სამისამართო მანათობელი სირენა	თვითდამისამართებით კვებას იღებს მარყუჟიდან, ინტეგრირებული მოკლე ჩართვის იზოლატორით, ხმის არჩევადი ტონალობა 14, ხმოვანი ტექსტური შეტყობინების ჩაწერით ქართულ და ინგლისური ენაზე საჭიროების შემთხვევაში 16 ვერსიამდე, 101-დბ 1 მეტრზე, გააჩნია EN 54-17, EN 54-3	ES2050RE; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	2	380,00	760,00	
5	სამისამართო მოდული	სამისამართო შემსვლელ გამომსვლელი მოდული, სამუშაო ძაბვა 19...30 Vdc; ავტომატური დამისამართების შესაძლებელობით, მოხმარებული ენერგია ლოდინის რეჟიმში 80 uA, ჩაშენებული სარელეო გამოსასვლელი 1A, 1 შემსვლელი და გამომსვლელი კონტაქტი, EN 54-17:2005, EN 54-18:2005,	EM312SR; იტალია; INIM ELECTRONICS Unipersonale S.r.l	ცალი	2	230,00	460,00	
6	აკუმულატორი	12ვ 7ამპ დახურული ტიპის	ჩინეთი/Select/S12 7S	ცალი	2	100,00	200,00	
7	საევაკუაციო გასასვლელის მაჩვენებელი დაფა "Exit" წარწერით	საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებელი ნიშანი (EXIT), ალუმინის ჩარჩო, პლასტიკური ან შუშის ზედაპირით; ელ. ენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაობის დრო 90 წუთი;		ცალი	7	100,00	700,00	
8	სახანძრო არა აალებადი კაბელი	JY (ST) Y 1*2*0,8 სახანძრო კაბელი		მეტრი	1000	1,00	1 000,00	
9	დენის კაბელი	დენის კაბელი 2x1,5 კვეთი, შესაბამისი ზომების სამაგრი საშუალებებით		მეტრი	300	1,40	420,00	
10	საკაბელო არხი	20*10 შესაბამისი ზომების სამაგრი საშუალებებით		მეტრი	300	0,80	240,00	
	ჯამური ღირებულება						14 102,00	